

ქირმან-შაჰის ძე

ქირმან-შაჰის ძე დია დასნეულდა. მიათვის მრავალნი მკურნალნი შეკრბნეს და ვერა არგეს რა. აბდულ-ჯაფარ წაიყვანეს. ბევრი რამ უწამლა და ღონე ვერა დაიდვა. მერმე მის ყრმის და მამა-დედისა მისისა სახე გასინჯა. მაშინ ეჭვი რამე ჩაიგდო: სახეს სახისა მსგავსება შორევდა.

გამოიხმო იდუმალ დედა მის ყმისა და უთხრა: თუცა ძისა შენასა სიცოცხლე გინებს, მითხარ, ვისგან გივის⁼⁼ ესე შაჰის ძე არ არის, მე ვსცანო.

პირველად ბევრი უარი ფიცა, მაგრამ, რა ღონე აღარ იყო, გაუმხილა და უთხრა: ქმარი ესე ჩემი უშვილო იყო და ნათესავი არა ჰყვა მკვიდრი სხვასა რჩებოდა. ერთი მეწისქვილე ვიხელთე უაზრობისათვის და მისგან არისო.

აქიმმან რა ყველაყა შეიგნა, მამა-დედას აღარ აჩვენა: საგებელი გამოაცალა, მცირე ჩალა დაუფინა: მაზე დააწვინა, წამალი აღარ უყო. თუ რამ ითხოვის საჭმელად, აგინის და მცირედი ხმიადი მისცის.

თურე მამის აგებულება ჰქონდა და ძვირფასი წამალი არ იშვნია და ამით მორჩა, და მამა-დედას მთელი მიჰგვარა.

თქვა მერვემან: